



პრეს რელიზი

მსოფლიო ბანკის ჯგუფმა საქართველოსთან თანამშრომლობის ახალი სტრატეგია შეიმუშავა

ახალი სტრატეგია საქართველოს განვითარების საკითხებთან დაკავშირებული გეგმების განხორციელებასა და მდგრადი შედეგების მიღწევაში დაეხმარება

ვაშინგტონი, 2014 წლის 8 მაისი - დღეს მსოფლიო ბანკის ჯგუფის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ 2014-2017 წლების საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგია განიხილა. აღნიშნული ოთხწლიანი თანამშრომლობის პროგრამა მსოფლიო ბანკის მიერ ქვეყნისთვის სიღარიბის შემცირების და საერთო კეთილდღეობის ზრდის საქმეში გაწეული დახმარების კოორდინირებას მოახდენს.

საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგია ორ მთავარ სფეროს გამოყოფს, რომელთა დახმარებით ზემოთხსენებული ამოცანების მიღწევა უნდა მოხდეს: სახელმწიფო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად და, გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობის მეშვეობით, კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებული სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა. აღნიშნული თანამშრომლობის სტრატეგია საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან - საქართველო 2020 თანხვედრაშია. საერთო მიზანი უფრო სწრაფი, ყოვლისმომცველი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევასა და, ამავე დროს, სოციალურ შედეგებსა და სიღარიბის შემცირებაზე უფრო მეტი ყურადღების გამახვილებაში მდგომარეობს.

ახალი სტრატეგიის მიხედვით მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ დაახლოებით 1.2 მილიარდი ა.შ.შ. დოლარის ოდენობის ფინანსური დახმარება იქნება გამოყოფილი, რომელიც რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებისგან, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC-ის) ინვესტიციებისა და მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს მიერ გაცემული დაზღვევისგან შედგება.

„მსოფლიო ბანკის ჯგუფის მხარდაჭერის მიზანია ქვეყანას საშუალება მიეცეს, გამოიყენოს მის წინაშე არსებული შესაძლებლობები ეკონომიკური ზრდის, დასაქმებისა და ინკლუზიის კუთხით,“ განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ჰენრი ქერალიმ. „საქართველოს, რომელიც ევროპის და აზიის დამაკავშირებელი სტრატეგიული დერეფნის გასწვრივ მდებარეობს, განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია განახლებადი ენერჯის, ტურიზმისა და უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების მექანე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების კუთხით. საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგია მხარს უჭერს მთავრობის პროგრამას, რომელიც სახელმწიფო მომსახურების ეფექტურად და სტაბილურად მიწოდების გაუმჯობესებას ეხება. განსაკუთრებით, განათლების, ჯანდაცვის და სხვა სოციალური მომსახურების სფეროში, რათა საქართველოში სიღარიბის საგრძნობი შემცირება და კეთილდღეობის გაზრდა მოხდეს“.

IFC, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, კვლავ გააგრძელებს საინვესტიციო და საკონსულტაციო პროექტებს, რომელთა პრიორიტეტი მცირე ბიზნესისთვის საჭირო დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, კონკურენტუნარიანი ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა, ასევე აგრობიზნესის და განახლებადი ენერჯის განვითარებაა.

„ჩვენი აზრით, ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის საუკეთესო საშუალება სამუშაო ადგილების შექმნაა, რაც საქართველოში ძირითადად კერძო სექტორის მიერ უნდა განხორციელდეს“, განაცხადა IFC-ის რეგიონულმა მენეჯერმა სამხრეთ კავკასიაში თომას ლუბეკმა. „შესაბამისად, IFC იმ სფეროებში მოღვაწე კერძო კომპანიებს გაუწევს დახმარებას, რომლებშიც ქვეყანას კონკურენტული უპირატესობა გააჩნია.“

მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო გააგრძელებს ფინანსურ სექტორში მის მიერ წარმოებული სამი აქტიური პროექტის მხარდაჭერას. გარდა ამისა, სააგენტო საკუთარი საქმიანობის გაფართოებისთვის სხვა შესაძლებლობების ძებნას აქტიურად განაგრძობს. განსაკუთრებით ეს ჰიდროელექტროენერჯის გამომუშავებას ეხება.

მას შემდეგ, რაც საქართველო 1992 წელს მსოფლიო ბანკის წევრი გახდა, ქვეყანაში მთლიანობაში 1.95 მილიარდი ა.შ.შ. დოლარის ოდენობის 57 პროექტი განხორციელდა. აღნიშნული თანხები საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებისა და გრანტების, ასევე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხების სახით იქნა გაცემული. მიმდინარე პორტფელი შვიდი საინვესტიციო პროექტისგან შედგება, რომელთა საერთო ღირებულება 600 მილიონ ა.შ.შ. დოლარს შეადგენს, და რომლებიც განვითარების პოლიტიკის ერთ ღონისძიებას და შერჩეულ საინვესტიციო პორტფელსაც მოიცავენ.

საქართველო IFC-ის წევრი 1995 წელს გახდა. მას შემდეგ IFC-ის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა საქართველოში 695 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა სხვადასხვა სექტორის

57 პროექტში. ამ ინვესტიციებმა ასევე ხელი შეუწყო რეგიონული პროექტების განხორციელებას ქვეყანაში. გარდა ამისა, IFC-ის საკონსულტაციო პროექტები კერძო სექტორის განვითარებას უწყობს ხელს.

საქართველოში მსოფლიო ბანკის ჯგუფის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ:

www.worldbank.org.ge
www.ifc.org/eca

გვეწვიეთ Facebook-ზე: <https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

www.facebook.com/IFCeca

საკონტაქტო პირები

თბილისში:

ინგა პაიჭაძე

ტელ: (99532) 291-3096

ipaichadze@worldbank.org

თამარ ბარბაქაძე

ტელ: 995 32 223 43 00

tbarbakadze@ifc.org

ვაშინგტონში:

ელენა კარაბანი

ტელ: +1 (202) 473-9277

ekaraban@worldbank.org